განცხადება კენჭისყრაში მონაწილეობის სურვილის შესახებ;

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის ხელმძღვანელობას

მოგესალმებით,

გაცნობებთ, რომ მაქვს სურვილი 2022 წლის ბაფის 24 დეკემბრის ბაფის კრებაზე გამგეობის წევრად ვიყარო კენჭი, როგორც აუდიტორმა /აუდიტორული ფირმის წარმომადგენელმა.

თეიმურაზ ფარცხალაძე

8 დეკემბერი, 2022 წ.

სამოტივაციო წერილი - თეიმურაზ ფარცხალაძე

მე როგორც საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის გამგეობის წევრობის კანდიდატი და სტანდარტების კომიტეტის თავმჯდომარე, ვფიქრობ რომ ჩემი ფედერაციის გამგეობის წევრად არჩევის შემთხვევაში:

ხელს შევუწყობ, რომ უმაღლეს სასწავლებლებში / უნივერსიტეტებში იყოს აღრიცხვა აუდიტის სპეციალობებში საერთაშორსო სტანდარტებზე დაფუძნებული სასწავლო პროგრამები, რათა სტუდენტმა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ შეიქმნას მყარი საფუძველი სწავლის გასაგრძელებლად, რათა მოიპოვოს პროფესიონალის სერტიფიკატი.

ასევე ხელს შევუწყობ, ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სასწავლო დაწესებულებების აღჭურვა შესაბამისი სახელმძღვანელოებით ქართულ ენაზე, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, ბიზნესის და პროფესიის ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერებას.

 მაქსიმალურად ვეცდები ხელი შევუწყო აუდიტის და აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გავრცელებას და დანერგვას საქართველოში, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო კომპანიების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების დანერგვას, რომელიც ჩემი ღრმა რწმენით რელევანტურია საქართველოში მოქმედი 90%-ზე მეტი საწარმოებისათვის.

ასევე ხელს შევუწყობ საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის, როგორც პროფესიონალური ორგანიზაციის განვითარებას და პირველ რიგში მის პროფესიონალებზე ორიენტაციას და ფოკუსირებას.

მივიღებ მონაწილემობას აღრიცხვა-აუდიტის კანონმდებლობის და რეგულირების განხილვაში, რომელიც შესაბამისი იქნება ევროკავშირის მოთხოვნებთან და ხელს შეუწყობს აღრიცხვის და აუდიტის პროფესიის განვითარებას, სტანდარტების დამკვიდრებას და ხარისხის კონტროლის სისტემის რეალურად განხორციელებას.

პატივისცემით,

თეიმურაზ ფარცხალაძე

8 დეკემბერი, 2022 წელი

Crowe GE LLC
Axis Business Palace, 4th floor
2, D. Gamrekeli Str., Tbilisi 0160, Georgia
Main +995 32 290 4522
www.crowe.ge

რეკომენდაცია სამუშაო ადგილიდან

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის

ხელმძღვანელობას

შპს ქროუ ჯი-ს ხელმძღვანელობა რეკომენდაციას უწევს ამავე კომპანიის დირექტორს / აუდიტორს თეიმურაზ ფარცხალაძეს, რომ ბაფის 2022 წლის 24 დეკემბრის კრებაზე მიიღოს ბაფის გამგეობის წევრად არჩევნებში მონაწილეობა.

პატივისცემით,

მაგდა ფანჩულიძე

დირექტორი

შპს Crowe GE

აქსის ბიზნეს პალასი, IV სართული,

2, დ.გამრეკელის ქ., 0160 თბილისი, საქართველო

+995 32 290 45 22

+995 577 403 003

2022 წლის 08 დეკემბერი